განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
2018 წლის 31 მაისი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი:
2018 წლის 6 ივნისი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**განათლება**
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 02/05/2013, №68

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოდერძი ბუჩაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ შინჯიაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა ჟუჟუნაძე, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამის მიზანია განათლების დარგში თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სამეცნიერო კადრების მომზადება განათლების მეცნიერებებში, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება და რომელიც შეძლებს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმების მეცნიერულ საფუძველზე წარმართვას, ახალგაზრდა მკვლევრებისთვის კარიერის დაგეგმვისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. მათ შორის 60 კრედიტი სასწავლო და 120 კრედიტი - კვლევითი კომპონენტია. პროგრამის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს (40 კრედიტი სავალდებულო და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები) და სემინარს, ხოლო სავალდებულო კვლევითი კომპონენტი - 2 კოლოქვიუმს და სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას.

დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) განათლების სადოქტორო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 31მაისს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (რექტორი, კანცლერი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ პროგრამის ადმინისტრაციის მიერ. დაწესებულების მხრიდან, გამოიხატა მზაობა არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებისა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით და არსებულის წესის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდართებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება.

- **რეკომენდაციები**
  - ტექნიკური ხარვეზია სადოქტორო პროგრამის შემუშავების წესში, რომელიც უნდა გასწორდეს, სადაც სადოქტორო პროგრამაზე 180 ECTS კრედიტიდან სასწავლო კომპონენტს ენიჭება არაუმეტეს 40%-იანი ხვედრითი წილი რაც გულისხმობს 72 ECTS კრედიტს.
  - დასკვნით გამოცდაზე დაშვები წინაპირობაა 50% იანი დასწრება სასწავლო კურსზე, რაც სადოქტორო სწავლების საფეხურზე ლოგიკური არ არის. რეკომენდებულია აღნიშნული წინაპირობის ლოგიკურად გაწერა.
  - რეკომენდებულია დაკონკრეტდეს კვლევითი ბაზის შერჩევის პრონციპეპი.
  - რეკომენდებულია დამსაქმებლის მოტივაციის ამაღლება, რათა ისინი უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის განვითარებაში.
  - სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული სავალდებულო საგანია განათლების ფილოსოფია, რომელიც სასურველია იყოს არჩევითი, ხოლო მის ნაცვლად იქნას ჩასმული სპეციალობისათვის სავალდებულო სხვა სასწავლო კურსი, მაგალითად სწავლების თანამედროვე მეთოდები (დაიხვეწოს ამ სილაბუსის თემატიკა) ან სასწავლო პრაქტიკა.
  - განათლების ფილოსოფია სასურველია იყოს არჩევითი, ხოლო მის ნაცვლად იქნას ჩასმული სპეციალობისათვის სავალდებულო სხვა სასწავლო კურსი, მაგალითად სწავლების თანამედროვე მეთოდები, ან უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა.
  - რეკომენდებულია პროფესორის ასისტენტობის და სემინარის სილაბუსების პროგრამაში არსებობა, რადგან უფრო თვალნათლივ დავინახავთ ამ კომპონენტების დაგეგმვას და სასწავლო კომპონენტთან ლოგიკურ ბმას.
  - კვლევის სტატისტიკური მეთოდები არ ასწავლის სტუდენტს ელექტრონული კვლევის სისტემებს (მინიმუმ SPSS), საგანში კვლევის მეთოდები განათლებაში გასამიჯნია პრაქტიკული კვლევა და ინტერნეტ-კვლევა.
  - რეკომენდებულია უცხოენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის ცოდნა განისაზღვროს A2 დონის ნაცვლად B2 დონით.
  - რეკომენდებულია დაშვების წინაპირობაში ერთერთ მოთხოვნად დაემატოს სამუშაო გამოცდილება და/ან განათლება შესაბამის დარგში.
  - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად, დისერტაცია ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), აქედან გამომდინარე რეკომენდებულია ექპერტის შეფასების ფორმატის შეცვლა.
  - რეკომენდებულია შეფასების მეტი გამჭვირვალობის მიზნით სასწავლო კურსების სილაბუსებში (განათლების ფილოსოფია, სოციალური ფსიქოლოგია და სხვ.) შეფასების რუბრიკებს მიეთითოს ქულები.
  - სადისერტაციო ნაშრომების დასახელებები ზოგადი ფორმატისაა, რეკომენდებულია მათი შემუშავება და დამტკიცება მოხდეს მეტი კონკრეტიკით.
  - რეკომენდებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დოქტორანტ სტუდენტებს სთავაზობდეს სემინარებს სხვადასხვა სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის შესახებ.
  - სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი საქმდება განათლების სფეროს ნებისმიერი ტიპისა და საფეხურის საჯარო თუ კერძო (მათ შორის უმაღლეს) საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დასაქმების სფეროს სპეციფიკიდან

გამომდინარე პროგრამის სასწავლო გეგმაში მიზანშეწონილია ახალი საგნების დამატება (კურიკულუმის განვითარება, განათლების მენეჯმენტი).

- უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტურ ინიციატივებს და მიაწოდოს მათ ინფორმაცია უნივერსიტეტს მიღმა არსებული სხვადასხვა კვლევითი და სასწავლო შესაძლებლობის არსებობის შესახებ (ფონდები, პროექტები). მან, ასევე, უნდა გაუწიოს კონსულტაცია თუ როგორ შეიძლება ამ შესაძლებლობების გამოყენება.
- რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა იზრუნოს ელექტრონული პორტალისთვის დამატებითი საკომუნიკაციო ფუნქციის განვითარებაზე. ეს მისცემს საშუალებას სტუდენტებს და აკადემიური ან ადმინისტრაციულ პერსონალს უფრო მოსახერხებელი გახადოს სასწავლო პროცესი და დაიხვეწოს სტუდენტებთან (განსაკუთრებით დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებთან) კომუნიკაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
-

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - პროგრამის განვითარების მიზნით უცხოელი თანახელმძღვანელის ინსტიტუტის უფრო მეტად გამოყენება გაზრდის ინტერნაციონალიზაციის და სადისერტაციო ნაშრომების ხარისხს.
  - ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სასურველი იქნება უნივერსიტეტმა არა მხოლოდ წაახალისოს სტუდენტები და პერსონალი, რომ მონაწილეობა მიიღონ სხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებში, არამედ თავადაც გაუწიოს კოორდინირება კონფერენციებს განათლების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, მით უმესტეს, რომ აღნიშნული დოკუმენტაციითა და ვიზიტით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს, გამომდინარე რეგიონის სპეციფიკიდან, აქვს საერთაშორისო მიმართულებით განვითარების დიდი პერსპექტივა;
  - კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, შესაძლებელია პროგრამის სხვადასხვა კურსში ან კურსს მიღმა ჩაისვას აქტივობები მცირე-მასშტაბიანი კვლევების სახით, რომელიც დაეხმარებათ სტუდენტებს ამ უნარ-ჩვევების განვითარებაში.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-
  - წინა აკრედიტაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით რომლებიც ეხებოდა სასწავლო კურსის აკადემიურ წერის არჩევით სტატუსის მინიჭებასა და მის ნაცვლად რომელიმე სავალდებულო კურსის ჩასმას, ასევე სილაბუსების ერთიან ფორატში გაწერას, პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები სამეცნიერო ნაშრომების წერა (აკადემიური წერის სანაცვლოდ), კვლევის მეთოდები განათლებაში (წინა პროგრამაში იყო კვლევის მეთოდები და ხერხები), კვლევის სტატისტიკური მეთოდები. სილაბუსები გაწერილია ერთიან ფორმატში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას: „მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. -უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ და აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება და ეკონომიკური ძლიერება, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება.” პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან. სადოქტორო პროგრამა ხორციელდება განათლების მეცნიერებებისა და საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკის მიმართულებით. სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი შეძლებს დასაქმდეს განათლების სფეროს ნებისმიერი ტიპისა და საფეხურის საჯარო თუ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორში, კვლევით ცენტრებში. პროგრამის მიზანი - „მოამზადოს განათლების დარგის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც იქნება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება და შეძლებს განათლების სფეროსთვის ღირებული და პრაქტიკული მნიშვნელობის კვლევების ჩატარებას; წარმატებით გაუძღვება სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას ნებისმიერი საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შეძლებს დარგში არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებასა და გაცნობიერებას. განათლების სფეროს მკვლევარების პროფესიონალიზმის ამაღლებასა და კარიერულ ზრდას“ - მიღწევადია და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს მისია https://bsu.edu.ge/main/page/2-416/index.html
- სტრატეგიული განვითარების გეგმა https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_60_1.pdf
- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული 180 კრედიტიდან 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, თითოეული სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია. საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში, დარგში და ქვედარგში სემინარისა და

პროფესორის ასისტენტობის გარდა, სამი სასწავლო კურსია შეტანილი: განათლების ფილოსოფია, სამეცნიერო ნაშრომის წერა, კვლევის მეთოდები განათლებაში. ბაკალავრიატში ისწავლება ფილოსოფიის შესავალი, თუ დოქტორანტი ამ პროგრამაზე მოვა, იგივეს მოისმენს მეორედ. ვფიქრობთ, განათლების ფილოსოფიის გადატანა არჩევით კურსებში უფრო მიზანშეწონილია.

რამდენადაც აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული არაა მხოლოდ პედაგოგიური განათლება, ამდენად ვფიქრობთ, პროგრამა ძირითად სასწავლო კურსად უნდა ითვალისწინებდეს პედაგოგიური ციკლის სასწავლო კურსებს (ერთ ზოგად კურსს მაინც), რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემდა გაცნობოდა თანამედროვე განათლების (და მათ შორის საქართველოს) განათლების სისტემას, მასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებს. ძირითად სასწავლო კურსებში სასურველია ისწავლებოდეს განათლების ფილოსოფიის ნაცვლად სწავლების თანამედროვე მეთოდები ან უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა.

დასახვეწია სწავლების თანამედროვე მეთოდების სილაბუსის თემატიკა.

პროგრამას არ ერთვს თან პროფესორის ასისტენტობის და სემინარის სილაბუსები. სასურველია არსებობდეს, რადგან უფრო თვალნათლივ დავინახავთ ამ კომპონენტების დაგეგმვას. პროფესორის ასისტენტობა მხოლოდ ერთი აბზაცით არის მიმოხილული სადოქტორო პროგრამაში.

კვლევის სტატისტიკური მეთოდები არ ასწავლის სტუდენტს ელექტრონული კვლევის სისტემებს (მინიმუმ SPSS). საგანში კვლევის მეთოდები განათლებაში გასამიჯნია პრაქტიკული კვლევა და ინტერნეტ-კვლევა.

სასწავლო კომპონენტში მოიაზრება, აგრეთვე დოქტორანტის აქტივობა სემინარების ფორმატით დარგში და ქვედარგში. დოქტორანტს ექნება თემების დამოუკიდებლად წარმოდგენის, დისკუსიის, აზრთა გაცვლის საშუალება კომისიის წინაშე. სადოქტორო სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელი და დოქტორანტი. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე და მისი გაგრძელების აუცილებლობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია და შეფასება. სემინარი ფასდება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: პრობლემის დასმა და გადაწყვეტის გზების დასახვა, მიღებული შედეგები, მათი არგუმენტირებული დასაბუთება. სასემინარო ნაშრომს აფასებს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.

დოქტორანტი სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, ვალდებულია ასისტირება გაუწიოს სასწავლო პროცესში აკადემიურ პერსონალს - ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის: ასისტირება გულისხმობს ჯგუფში მუშაობის, ლაბორატორიული სამუშაოს, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების/ტესტების მომზადებას/ჩატარებასა და ა. შ.; პროფესორის ასისტენტობისათვის განსაზღვრული სამუშაოს შესრულების გაანგარიშება ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის მოცულობის გათვალისწინებით.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს სემესტრების მიხედვით განაწილებულ სქემას, სადაც წარმოდგენილი სავალდებულო კურსები (განათლების ფილოსოფია, სამეცნიერო ნაშრომის წერა, კვლევის მეთოდები განათლებაში, პროფესორის ასისტირებისა და სემინარების ჩათვლით), თითოეული მოიცავს 5 კრედიტს. სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული ძირითადი საგნები ისწავლება პირველ წელს.

დოქტორანტურაში კვლევითი კომპონენტის შემადგენელია 2 კოლოქვიუმის ჩატარება, რომელიც არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. კოლოქვიუმი არ ფასდება. კოლოქვიუმის მიზანია: დოქტორანტის ცოდნის არეალის გაფართოება, დარგის ინოვაციური კვლევის

მეთოდოლოგიის დამოუკიდებლად შემუშავება და სრულყოფა, კოლოქვიუმის თემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გააზრება, პრეზენტაციის უნარისა და დისკუსიის ხელოვნების განვითარება. კოლოკვიუმების საშუალებით ხდება დოქტორანტის მიერ დისერტაციის ირგვლივ ჩატარებული სამუშაოსა და კვლევის შედეგების პრეზენტაცია. რაც შეეხება სწავლების მეთოდებს, თითოეულ სილაბუსში საჭიროებისდა მიხედვით არის შერჩეული სწავლების მეთოდები. პროგრამის ცალკეული კომპონენტი აგებულია ისე, რომ მისი მიზანი, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, ფორმატი, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლება/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში; ○ სადოქტორო პროგრამა ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძრვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის № 19 დადგენილება „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“.
რეკომენდაციები: ○ განათლების ფილოსოფია სასურველია იყოს არჩევითი, ხოლო მის ნაცვლად იქნას ჩასმული სპეციალობისათვის სავალდებულო სხვა სასწავლო კურსი, მაგალითად სწავლების თანამედროვე მეთოდები, ან უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. ○ დაიხვეწოს სწავლების თანამედროვე მეთოდების სილაბუსში თემატიკა. ○ შიქმნას პროფესორის ასისტენტობის და სემინარის სილაბუსები, რადგან უფრო თვალნათლივ დავინახავთ ამ კომპონენტების დაგეგმვას. ○ კვლევის სტატისტიკური მეთოდები უნდა ასწავლიდეს სტუდენტს ელექტრონული კვლევის სისტემებს (მინიმუმ SPSS). ○ საგანში კვლევის მეთოდები განათლებაში გასამიჯნია პრაქტიკული კვლევა და ინტერნეტ-კვლევა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული 180 კრედიტიდან 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 120 კრედიტი - კვლევითი კომპონენტს. პროგრამის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებს და სემინარებს, ხოლო კვლევითი კომპონენტი - 2 კოლოქვიუმსა და სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას. სასწავლო კომპონენტი გულისხმობს სასწავლო კურსების მეშვეობით დოქტორანტის ძირითადი მეცნიერული უნარების, ტრანსფერული უნარების განვითარებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას, დოქტორანტის სრულფასოვან ჩაბმას სასწავლო პროცესში. სასწავლო კომპონენტიდან 40 კრედიტი ეთმობა სავალდებულო კურსებს, ხოლო 20 კრედიტი - არჩევით კურსებს.

პროგრამა შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - განათლების დოქტორი, შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს. სასწავლო კურსები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და სტუდენტს უყალიბებს დარგობრივ კომპეტენციებსა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, პროფესორის ასისტებობა ერთობლივად უზრუნველყოფს სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესის თანხვედრასა და ჰარმონიულობას. მიღებული ცოდნა, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, შექმნას პროდუქტიული სადოქტორო ნაშრომი აქტუალურ პრობლემატიკაზე. ამდენად, პროგრამა წარმოადგენს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას. პროგრამის კონკრეტული მიზნებისა და შედეგების მიღწევადობა უზრუნველყოფილია საკონტაქტო, ინტერაქტიური (ჯგუფში მუშაობა)და დამოუკიდებელი მუშაობის სხვადასხვა მეთოდით. ყველა სასწავლო მეთოდი და აქტივობა გაწერილია როგორც პროგრამაში, ისე კურსის სილაბუსებში.

სტუდენტის შეფასების მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში არის ჩანაწერი - **კვლევის ბაზა** - შეირჩევა სადოქტორო ნაშრომის საკვლევი პრობლემის მიხედვით. ძალიან ზოგადია, მინიმალურად დაკონკრეტება შეიძლებოდა. სადოქტორო პროგრამის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-3 დონეს, ამის საუკეთესო მაგალითი არის დაცული დისერტაციები, რომლებშიც აღინიშნება ძირითადად ტექნიკური ხარვეზები, სადისერტაციო ნაშრომების დასახელება ზოგადი ფორმისაა.

შეიძლებოდა უფრო კონკტრეული კვლევის თემატიკის შერჩევა. მიუხედავად ამისა დაცული დისერტაციები აკმაყოფილებენ უმაღლესი განათლების მესამე დონის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სადოქტორო პროგრამა სასწავლო კურსის სილაბუსები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის ბრძანება №120/ნ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ. სადისერტაციო ნაშრომები
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია დაკონკრეტდეს კვლევითი ბაზის შერჩევის პრონციპეპი. ○ ტექნიკური ხარვეზია სადოქტორო პროგრამის შემუშავების წესში, რომელიც უნდა გასწორდეს, სადაც სადოქტორო პროგრამაზე 180 ECTS კრედიტიდან სასწავლო კომპონენტს ენიჭება არაუმეტეს 40%-იანი ხვედრითი წილი რაც გულისხმობს 72 ECTS კრედიტს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლების სადოქტორო პროგრამას ახორციელებს 2008 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში კვალიფიკაცია მიენიჭა 14 დოქტორანტს. პროგრამის სასწავლო კურსები ორიენტირებულია დოქტორანტებში კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. პროგრამა ამზადებს სპეციალისტს, რომელიც წარმატებით უძღვება სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას ნებისმიერი საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შეუძლია დარგში არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლება და გაცნობიერება. ამჟამად ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია (დიდი ნაწილი სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში) ერთის გარდა და ისიც სექტემბრიდან იწყებს მუშაობას. კურსდამთავრებულები ძირითადად დასაქმებულები არიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე აჭარის განათლების ფონდში, ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, თბილისის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო სასწავლებელში. პროგრამის მოთხოვნადობას ადასტურებს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა დიდი რაოდენობა. განათლების სადოქტორო პროგრამაზე მიღება ცხადდება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საკვლევი პრობლემების აქტუალობის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სადოქტორო პროგრამა სასწავლო კურსის სილაბუსები ინტერვიუები სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების სადოქტორო პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობა მიიღო შესაბამისი დარგის აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა, ამ პროცესს კოორდინაციას უწევდნენ პროგრამის ხელმძღვანელები.

ბსუ-ში მოქმედი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის და შესაბამისი პროცედურები მიხედვითა შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამა. ამ წესით დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, მომზადდა სამოქმედო გეგმა, გადანაწილდა სამუშაოები - მოხდა ბაზრის კვლევა, რის საფუძველზეც დადგინდა პროგრამის საჭიროება. დამსაქმებელთა გამოკითხვა მოხდა ელექტრონულად. მოწოდებული რეკომენდაციები განხილულ იქნა დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა კომპეტენციების ჩამონათვალი. კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობაში, ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

სამუშაო ჯგუფმა მოამზადა საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი სილაბუსები და აკრედიტაციისათვის საჭირო ყველა მასალა, მათ შორის - თვითშეფასების ანგარიში. მოხდა თვითშეფასების შესავსებად საჭირო ყველა ინფორმაციისა და შესაბამისი დადასტურების შეგროვება. სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის მუშაობას კოორდინაციას უწევდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება მოხდა მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოზე დაყრდნობით.

პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებულია განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მოსაზრებები, სწორედ მათი გათვალისწინებით შეიცვალა ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და შეფასების მეთოდები.

რაც შეეხება დამსაქმებლებს, ისინი მეტ-ნაკლებად იცნობენ სადოქტორო პროგრამას, მათთან გასაუბრების დროს ნაკლებად გამოიხატა მათი მოტივაცია, თუ რატომ იყვნენ დამსაქმებლები და რა წვლილი შეიტანეს პროგრამის შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;

○ ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 1 მარტის № 03 ბრძანება ბსუ-ს განათლების ფაკულტეტზე ,,განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციისთვის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის, კურიკულუმის კომიტეტისა და სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ; ○ ხარისხის სამსახურის კვლევები https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუები სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია დამსაქმებლის მოტივაციის ამაღლება, რათა ისინი უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის განვითარებაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,			X	

სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტურაში მისაღები კონკურსი ცხადდება შემოდგომის სემესტრისთვის ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრება: წარსადგენი საბუთების ნუსხა; მათი წარდგენის ადგილი და ვადა; თითოეულ პროგრამაზე მისაღები გამოცდების (უცხო ენაში და გასაუბრება სპეციალობაში) ჩამონათვალი, მათი ჩატარებისა და გასაჩივრების ვადები; სარეგისტრაციო, საგამოცდო და საპრეტენზიო (სააპელაციო) კომისიების შემადგენლობა. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს, ასევე, უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დოქტორანტობის კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის მოეთხოვება: ა) სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა. ბ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა; გ) ქართული ენის A2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ბსუ-ში გამოცდის ჩაბარება ქართულ ენაში (იმ კანდიდატისათვის, რომლისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის და სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე); დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას დარგობრივ საგამოცდო კომისიასთან. კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციალობის გამოცდის (გასაუბრების) შედეგებს. სადოქტორო პროგრამით შესაძლებელია დოქტორანტობის კანდიდატებისათვის მიღების დამატებითი პირობების განისაზღვრა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჭიროებს გადახედვას, ვინაიდან დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირს მინიმუმ უნდა ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება და/ან უდასტურდებოდეს განათლება შესაბამის დარგში. ამასთან, არაქართულენოვანი პირებისთვის უნივერსიტეტს ქართულ ენაში დაშვების წინაპირობათ განსაზღვრული აქვს A2 დონე, რაც არ არის ადექვატური/საკმარისი პირის მიერ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვისათვის და სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისათვის. ვინაიდან ქართულის, როგორც მეორე ენის, სტანდარტის მოთხოვნებისა და ევროსაბჭოს ენის ფლობის დონეების მიახლოებითი შესაბამისობის მიხედვით A2 დონე სტუდენტს გამოუმუშავებს ისეთ ცოდნის უნარებს როგორიცაა: ზეპირსიტვიერება (ლაპარაკი მოსმენა): ყოველდრიური მარტივი სოციალური ინტერაქციის წარმოება სხვადასხვა ყოფიტ თემაზე ,საყოფაცხოვრებო ხასიათის მოკლე საუბრებში მონაწილეობა და სხვ. კითხვა: ჟურნალ-გაზეთებში,საკანომდებლო აქტებში ძირითადი

ინფორმაციის გაგება, კერძო წერილის გაგება და სხვ. წერა: მარტივი წინადადებებით ამა თუ იმ მოვლენების აღწერა და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების წესის“ შესახებ“;
- საგანმანათლებლო პროგრამა.
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში უცხოენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის ცოდნა განისაზღვროს A2 დონის ნაცვლად B2 დონით.
- რეკომენდებულია დაშვების წინაპირობაში ერთერთ მოთხოვნად დაემატოს სამუშაო გამოცდილება და/ან განათლება შესაბამის დარგში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების სადოქტორო პროგრამით, სასწავლო კურსის სილაბუსებითა და ინტერვირებით დგინდება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები სიმრავლე როგორიცაა, ლექცია, ახსნა-განმარტება, კითხვა-პასუხი, სემინარი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლება, წიგნზე/ტექსტზე მუშაობის მეთოდები, დისკუსია, დებატი, პროექტი, არგუმენტირებული/კრიტიკული ესსე, რეფერატი, სტატია, კოგნიტური სქემები, სიტუაციის (ქეისი) ანალიზი; კაზუსის ამოხსნისა და ანალიზის მეთოდი. ყველა სასწავლო მეთოდი და აქტივობა გაწერილია როგორ პროგრამაში ისე, სასწავლო კურსების სილაბუსებში. ბსუ-ს დოსქტორანტურის დებულებაში გაწერილია პროფესორის ასისტენტობის და სადოქტორო სემინარების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, თუმცა აღნიშნული დოკუმენტიდან ვერ დგინდება ამ სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული მიზანი, სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია პროფესორის ასისტენტობის და სემინარის სილაბუსების პროგრამაში არსებობა, რადგან უფრო თვალნათლივ იქნება სტუდენტისთვის გაწერილის ამ კომპონენტების დაგეგმვა, სწავლის შედეგები და სწავლების მეთოდები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ლოგიკურია, რაც ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში. მათი შინაარსი ვითარდება ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის) შესრულების შემდეგ, შესაბამის დეპარტამენტში ხდება სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა (აპრობაცია). ნაშრომის შეფასების მიზნით დეპარტამენტი გამოყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ორ რეცენზენტს (პირებს, რომლებთანაც დოქტორანტს არა აქვს საერთო კვლევა და ინტერესი, რაც დაკავშირებულია სადისერტაციო ნაშრომთან). აპრობაცია მოიცავს დოქტორანტის მოხსენებას, რეცენზიებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის წარდგენას, დისკუსიას და შეფასებას (დადებითი - დაშვება საჯარო დაცვაზე ან უარყოფითი - ნაშრომის დაბრუნება გადასამუშავებლად/ხარვეზების გასასწორებლად). აპრობაციაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის შესავსებად უბრუნდება დოქტორანტს მომდევნო სემესტრის განმავლობაში გადამუშავებისა და ხელახალი წარდგენის მიზნით, ხოლო დადებითი შეფასების შემთხვევაში- დოქტორანტი ვალდებულია, შესაბამისი რეცენზიების/შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს, აპრობაციიდან (წინასწარი დაცვა) არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა.

დოქტორანტის მიერ სადოქტორო თემაზე შესრულებული მინიმუმ ხუთი ნაშრომი/სტატია უნდა იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში

გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, ან შესაბამის საერთაშორისო დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, მათ შორის, ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს რომ დოქტორანტს ქართველი სამეცნიერო ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავდეს უცხოელი თანახელმძღვანელი ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებელი იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი ან სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებულ ვერსიას (ავტორეფერატს) აქვს საერთაშორისო რეცენზია (ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური, სადისერტაციო საბჭოსთან თანამშრომლობით ქმნის უცხოელ ექსპერტთა მონაცემების საინფორმაციო ბაზას და უზრუნველყოფს ავტორეფერატის ინგლისურენოვანი ვარიანტის საერთაშორისო რეცენზირებას).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტის ცოდნის დონის შესამოწმებლად კურსის ფარგლებში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი: წერითი, ზეპირი პრეზენტაცია, კოლოქვიუმი, სამეცნიერო სემინარი, რეცენზია, კვლევის შედეგების პრეზენტაცია, ესსე, სამეცნიერო მოხსენება, სტატია და ა. შ. სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსის სილაბუსების მიხედვით. დოქტორანტის ცოდნის შემოწმება-შეფასება მოიცავს როგორც მიმდინარე შეფასებას, ასევე საბოლოო გამოცდას, რომელიც საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს წერითი, ზეპირი ან კომბინირებული ფორმით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული **კვლევითი კომპონენტი** ფასდება ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილების შესაბამისად. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება, წარდგენა, აპრობაცია და საჯარო დაცვა, შეფასება და დოქტორის ხარისხის მინიჭება ხორციელდება ,,ბსუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილების მიხედვით. დისერტაციის საჯარო დაცვა სრულდება მისი შეფასებით.

,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილების შესაბამისად თუ ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ნაშრომი ეგზავნება სხვა ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 2007 წლის 5 იანვარის“ შესაბამისად, დისერტაცია ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილება;

- ,,ბსუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილება.

რეკომენდაციები:

- „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 2007 წლის 5 იანვარის“ შესაბამისად, დისერტაცია ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), აქედან გამომდინარე რეკომენდებულია ექპერტის შეფასების ფორმის შეცვლა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ს მეტწილად შემუშავებული აქვს სტუდენტის ცოდნის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები. სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილია, როგორც შეფასების კომპონენტები ასევე, მეთოდები და კრიტერიუმები, თუმცა შეფასების მეტი გამჭვირვალობის მიზნით სასწავლო კურსების სილაბუსებში (განათლების

ფილოსოფია,სოციალური ფსიქოლოგია და სხვ.) შეფასების რუბრიკებში გამორჩენილია ქულობრივი ჩაშლა.
დოქტორანტის საბოლოო ნაშრომი - დისერტაცია შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: საკვლევი თემის აქტუალობა; კვლევის მეთოდების კვლევის საგანთან და ობიექტთან შესაბამისობა; მეცნიერული სიახლე; მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი; შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთება; დისერტანტის მიერ სადისერტაციო მასალის ცოდნის დონე და პრეზენტაციის უნარი.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს დაწესებული აქვს დასკვნით გამოცდაზე დაშვები წინაპირობა (50% იანი დასწრება სასწავლო კურსზე), რაც სადოქტორო სწავლების საფეხურზე ლოგიკური არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილება;
- ,,ბსუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილება.
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შეფასების მეტი გამჭვირვალობის მიზნით სასწავლო კურსების სილაბუსებში (განათლების ფილოსოფია, სოციალური ფსიქოლოგია და სხვ.) შეფასების რუბრიკებს მიეთითოს ქულები.
- დასკვნით გამოცდაზე დაშვები წინაპირობაა 50% იანი დასწრება სასწავლო კურსზე, რაც სადოქტორო სწავლების საფეხურზე ლოგიკური არ არის.
  რეკომენდებულია აღნიშნული წინაპირობის ლოგიკურად გაწერა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			x	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხებით, სწავლის დაწყებიდან ორ თვეში ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმებს. უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ეხმარება სტუდენტს ინფორმაციის მიღებაში და სთავაზობს მას სხვადასხვა სერვისს. პერიოდულად ხდება ამ მიმართულებით ხარისხის კონტროლი. განათლების ფაკულტეტის დეკანატი უზრუნველყოფს პროგრამის პრეზენტაციას, გარდა ამისა, პროგრამის შესახებ ინფორმაცია იდება ვებ-გვერდზეც. დაინტერესების შემთხვევაში, პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაცია სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ნებისმიერი აკადემიური პირისგან და უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან. უნივერსიტეტის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ გამოავლინა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული პორტალი, რომელიც საშუალებას იძლევა ინფორმაცია დროულად მიეწოდოს სტუდენტს. თუმცა აღმოჩნა, რომ დოქტორანტურის საფეხურზე პორტალი არ იძლევა ორმხრივი კომუნიკაციის საშუალებას, სტუდენტს არ შეუძლია მისი საშუალებით დასვას კითხვა ან მოითხოვოს ინფორმაცია.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი შეიცვას სტუდენტური ცხოვრების ამსახველ განყოფილებას, სადაც სტუდენტს საშუალება ეძლევე გაეცნოს სიახლეებს. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტი ქმნის შესაბამის გარემოს, რათა სტუდენტმა მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ინფორმაცია და კონსულტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუების უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://bsu.edu.ge
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა იზრუნოს ელექტრონული პორტალისთვის დამატებითი საკომუნიკაციო ფუნქციის განვითარებაზე. ეს მისცემს საშუალებას სტუდენტებს და აკადემიური ან ადმინისტრაციულ პერსონალს უფრო მოსახერხებელი გახადოს სასწავლო პროცესი და დაიხვეწოს სტუდენტებთან (განსაკუთრებით დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებთან) კომუნიკაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უნივერსიტეტში სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე აკადემიური პერსონალის წლიური ინდივიდუალური დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. შედგენილია კონსლტაციების განრიგიც. დოქტორანტების ხელმძღვანელებს გამოყოფილი აქვთ ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები, რომლის ფარგლებშიც ხდება სადისერტაციო ნაშრომსა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაზე მუშაობა. ○ სტუდენტებთან ინტერვიუმ გამოავლინა, რომ მათ აქტიური კომუნიკაცია აქვთ ხელმძღვანელებთან და ყოველთვის იღებენ სათანადო კონსულტაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუების უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს № 63 დადგენილება - „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ”
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფორმირების ხელშეწყობისთვის უზრუნველყოფს დოქტორანტებს კვლევის ობიექტებით, ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას და სურვილისა და ინტერესის შესაბამისად, სამეცნიერო კონფერენციებში, საზაფხულო სკოლებში, სხვადასხვა კვლევით და სასწავლო პროექტებში ჩართვას. დოქტორანტები მონაწილეობას ღებულობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ გამოავლინა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად რთავას სტუდენტებს სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში და ასევე, ერაზმუს+-ის Capacity Building-ის პროექტების ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში, თუმცა კვლევითი უნარების გამომუშავების მიზნით სხვა აქტივობების წახალისება ნაკლებად ხდება.
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სტუდენტებს უფრო მეტი საჭიროება აქვთ კვლევითი მიმართულებით უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://bsu.edu.ge

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტურ ინიციატივებს და მიაწოდოს მათ ინფორმაცია უნივერსიტეტს მიღმა არსებული სხვადასხვა კვლევითი და სასწავლო შესაძლებლობის არსებობის შესახებ (ფონდები, პროექტები). მან, ასევე, უნდა გაუწიოს კონსულტაცია თუ როგორ შეიძლება ამ შესაძლებლობების გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, შესაძლებელია პროგრამის სხვადასხვა კურსში ან კურსს მიღმა ჩაისვას აქტივობები მცირე-მასშტაბიანი კვლევების სახით, რომელიც დაეხმარებათ სტუდენტებს ამ უნარ-ჩვევების განვითარებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ჩართულია ერაზმუს+ის საერთაშორისო პროექტებში. სხვადასხვა დროს ისინი ჩართულნი იყვნენ სხვა საერთაშორისო პროექტებშიც. ეს გამოცდილება მათ ეხმარება პროფესიული და აკადემიური კუთხით განვითარებაში.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ამ ეტაპზე უნივერსიტეტი ახორციელებს ერაზმუს+ის 22-მდე Credit Mobility და 7 Capacity Building პროექტებს. ამ პროექტებში მონაწილეობს როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე, სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც. აღნიშნული ინფორმაცია მონაწილეობის შესახებ დადასტურდა როგორც აკადემიური პერსონალთან, ისე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი თავადაც ახორციელებს პროექტებს, მაგალითად, ჩართულია „ჰორიზონ 2020“-ში. აღნიშნული ერასმუს+ის პროექტებიდან რამდენიმე უშუალოდ განათლების პროგრამების მიმართულებით ხორციელდება და პროგრამის

პერსონალი და სტუდენტები არიან ჩართულნი. ვიზიტის დროს და თვით-შეფასების ანგარიშშიც აღნიშნული იყო ინფორმაცია თუ სად და როდის მიიღეს მათ მონაწილეობა საერთაშორისო მობილობებში.

- სამეცნიერო მიმართულებით ინტერნაციონალიზაციის მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს პერსონალის გადამზადებას ინგლისურ ენაში. როგორც ინტერვიუმ გამოავლინა, დაახლოებით 120 ადამიანი გადის გადამზადებას მიმდინარე ეტაპზე და უნივერსიტეტი ფარავას ხარჯების გარკვეულ ნაწილს.
- დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს ევალებათ გამოაქვეყნონ ნაშრომები უცხოურ გამოცემებში, მათ შორის ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში. ეს დამატებით უწყობს ხელს დოქტორანტების სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას.
- დოქტორანტურის დებულების მიხედვით, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჰყავდეთ უცხოელი თანახელმძღვანელები (დოქტორანტურის დებულება, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი). სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებელი არის დოქტორის აკადმიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი ან სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერეტს აქვს საერთაშორისო რეცენზია (დოქტორანტურის დებულება, მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).
- სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს უცხოელი შემფასებლებისა და გამოცემების დასახელებების მიწოდებას სტუდენტისთვის.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ინფორმაციულია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების მხრივ, სტუდენტს და აკადემიური პერსონალს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია როგორც აქტივობების, ისე დაფინანსების და სხვა საჭირო მიმართულებით.
- ყოველივე ზემოთ-აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადმულია და უნივერსიტეტი ცდილობს განვითარებას. თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დაფიქსირდა მოსაზრება, სართაშორისო ურთიერთობების გაფართოება ერთ-ერთი გასავითარებელი მიმართულებაა ინსტიტუციისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- დოქტორანტურის დებულება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სასურველი იქნება უნივერსიტეტმა არა მხოლოდ წაახალისოს სტუდენტები და პერსონალი, რომ მონაწილეობა მიიღონ სხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებში, არამედ თავადაც გაუწიოს კოორდინირება კონფერენციებს განათლების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში,

მით უმესტეს, რომ აღნიშნული დოკუმენტაციითა და ვიზიტით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს, გამომდინარე რეგიონის სპეციფიკიდან, აქვს საერთაშორისო მიმართულებით განვითარების დიდი პერსპექტივა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსი. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, და საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. უნივერსიტეტი საგანმანათ-ლებლო პროგრამებს უზრუნველყოფს, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკითა და ელექტრო-ნული საბიბლიოთეკო რესურსებით:

- **EBSCO Publishing** (http://search.epnet.com)
- **Cambridge University Press** (http://journals.cambridge.org)
- **Royal Society Journals Collection** (http://royalsocietypublishing.org)
- **BioOne** (http://www.bioone.org)

საბიბლიოთეკო რესურსების ბმული: http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html)

ბსუ-ს ბიბლიოთეკაში განთავსებული სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ.თუმცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დოქტორანტ სტუდენტებს არ უტარებს სემინარებს სხვადასხვა სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ–ს ბიბლიოთეკა
  http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html
- ელექტრონული წიგნები
  https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php
  https://lib.bsu.edu.ge/index.php?action=5
- ბსუ-ს მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- კომპიუტერული კლასები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დოქტორანტ სტუდენტებს სთავაზობდეს სემინარებს სხვადასხვა სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურება შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალი. მათი კვალიფიკაცია დასტურდება პირადი საქმეებით და სასწავლო პროგრამასთან ადეკვატური სამეცნიერო პუბლიკაციებით, პედაგოგიური სტაჟითა და კომპეტენციით, მათ მიერ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებებით. პროგრამაში ჩართულია 11 აფილირებული აკადემიური მერსონალი.

„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილებით განსაზღვრულია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები. კერძოდ, სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. განათლების სადოქტორო პროგრამაზე მიღება ცხადდება შრომის ბაზრის მოთხოვნების, საკვლევი პრობლემების აქტუალობის და სამეცნიერო ხელმძღვანელის დარგში მუშაობის გამოცდილებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.

სტანდარტით გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის კომპეტენციების დადგენა ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, თუმცა, დღევანდელი განათლების პოლიტიკიდან გამომდინარე, განათლების დარგში მოღვაწე

აკადემიური პერსონალი უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული უახლეს კვლევებში, ასევე მნიშვნელოვანია მათი უფრო ინტერსიური ჩართულობა ტრენინგებსა და საერთაშორისო პროექტებში.ზოგიერთი სასწავლო კურსის პედაგოგს მეტი გამოცდილება უნდა გააჩნდეს მისთვის მინდობილი სასწავლო კურსების წასაკითად, მაგალითად სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები განათლებაში“ პედაგოგებს გააჩნდეთ მეტი გამოცდილება ამ კურსის წასაკითხად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №4 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“; ○ განათლების ფაკულტეტის დებულება; ○ პერსონალის CV ; ○ „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილება.
○ **რეკომენდაციები:** ○ სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები განათლებაში“ პედაგოგებს გააჩნდეთ მეტი გამოცდილება ამ კურსის წასაკითხად. ○ პედაგოგებს მიეცეთ საშუალება უფრო მეტად მიიღონ მონაწილეობა ტრეინინგებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. გაცვლით პროგრამებში მეტი მონაწილეობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, ჩართულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (ფაკულტეტის მდივანი და დარგობრივი დეპარტამენტის 2 სპეციალისტი) რომლებიც ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამების ხელმძღვანელებს, კურსების კურატორებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ეხმარებიან როგორც სასწავლო პროცესის განხორციელებაში, ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებაში. მათი ფუნქციები გაწერილია განათლების ფაკულტეტის დებულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №05 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ლიტერატურა მისაწვდომია დოქტორანტებისათვის. ბსუ–ს ბიბლიოთეკას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო შესაბამისი წიგნადი ფონდი და პერიოდიკა. იგი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსში მითითებულ ლიტერატურას. რაც შეეხება სამეცნიერო კომპონენტის შესაბამის ლიტერატურას, დოქტორანტები მოიპოვებენ ინდივიდუალურად სამეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებით. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკასთან. ბსუ დარეგისტრირებულია პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – "elFL" კონსორციუმის წევრად, რაც საშუალებას აძლევს ბსუ–ს ბიბლიოთეკის მომხმარებელს გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCOHost (http://search.epnet.com); Cambridge Unioversity Journals (http://journals.cambridge.orp); Oxford University Journals (http://www.oxford-journals.org), Oxford Reference Online (http://www.oxfordreference.com).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ბსუ-ს ბიბლიოთეკა;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ინტენსიური გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ სტაბილურობას. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი ინტეგრირებულია საუნივერსიტეტო ბიუჯეტში.

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები. ფაკულტეტზე მოქმედი საერთაშორისო პროექტების ფარგლებში შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობით მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილობრივი შევსება. უნივერსიტეტს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი აქვს ყოველწლიურად 100000 ლარი, რაც ხმარდება მათ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში, მონაწილეობას ტრეინინგებში მეთოდოლოგიის მიმართულებით, და სხვადასხვა აქტივობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის №02 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“;
- ,,ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილება;
- ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება (01-11/111) ,,ბსუ-ში 2017-2018 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტების ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს სასწავლო პროცესი, სასწავლო კურსები, აკადემიური პერსონალი და ასევე პროგრამის შეფასების მიზნით აანალიზებს პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეების მიერ შევსებულ კითხვარებს. ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას ხელს უწყობს, როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების საინფორმაციო და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველოფს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, ელექტრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო სტუდენტებისთვის, ხოლო დოქტორანტებს ეგზავნებათ კითხვარი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან,აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებელთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შიდა (სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის, საგამოცდო მასალების, გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი, აკადემიური მოსწრების ანალიზი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და სხვ.) და გარე (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა.) შეფასების მექანიზმების გამოყენებით, სისტემატურად ახორციელებს პროგრამის შეფასებას და შემუშავებული რეკომენდაციებით მიმართავს პროგრამის ხელმძღვანელობას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №104 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“.
- ინტერვიურებით.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

გოდერძი ბუჩაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ შინჯიაშვილი

თ. ჟანჯიშვილ

თამარ ჟუჟუნაძე